

N412 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„საბაგრო მოწყობილობების (საბაგრო გზის, ფუნქულიორის) უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

მუხლი 1. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი საბაგრო მოწყობილობების (საბაგრო გზის, ფუნქულიორის) უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ_მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი
საბაგირო მოწყობილობების (საბაგირო გზის, ფუნქციულიორის) უსაფრთხო
ექსპლუატაციის შესახებ

თავი I. რეგულირების სფერო და ტერმინთა განმარტება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი საბაგირო მოწყობილობების (საბაგირო გზის, ფუნქციულიორის) უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (შემდეგში - რეგლამენტი) ადგენს მოთხოვნებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, რომელიც ექსპლუატაციას უწევს საბაგირო მოწყობილობებს.

2. ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება საბაგირო მოწყობილობაზე, რომელსაც გააჩნია შემდეგი მახასიათებლები და პარამეტრები:

ა) საბაგირო გზაზე, რომელიც მოიცავს რამდენიმე კომპონენტისაგან შემდგარ ერთიან სტაციონალურად დამონტაჟებულ სისტემას და განკუთვნილია ადამიანების გადასაყვანად მოძრავი შემადგენლობით ან საბუქსირე მოწყობილობებით, სადაც დაკიდება და/ან გაწევა უზრუნველყოფილია სამოძრაო მარშრუტის გასწვრივ განლაგებული ბაგირების მეშვეობით, როგორცაა:

ა.ბ) კიდული ბაგირგზა, სადაც სატრანსპორტო საშუალება დაკიდებულია და/ან გადაადგილდება ერთი ან მეტი გამწევი ბაგირით;

ა.გ) სათრეველა საწეველები, როდესაც მომხმარებელი შესაბამისი აღჭურვილობით (თხილამურები, ციგა) გადაადგილდება ბაგირზე მიმაგრებული გასათრევი აღჭურვილობით.

ბ) ფუნქციულიორზე, რომელიც განკუთვნილია ადამიანების გადასაყვანად, გააჩნიათ დახრილი სარელსო გზებზე მოძრავი, თვლებზე ან მზიდ მექანიზმებზე მდგარი სატრანსპორტო საშუალებები, სადაც გაწევა უზრუნველყოფილია ერთი ან მეტი ბაგირით ვაგონისაგან განცალკევებულად დამონტაჟებული ამძრავი მექანიზმის მეშვეობით.

3. რეგლამენტი არ ვრცელდება:

ა) სოფლის მეურნეობის მიზნით გამოყენებულ საბაგირო გზებზე და ფუნქციულიორებზე;

ბ) საგამოფენო და/ან გასართობ პარკებში გამოყენებულ სტაციონალურ ან მოძრავ საბაგირო გზებზე, რომლებიც განკუთვნილია დასვენების მიზნისათვის და არა მგზავრთა გადასაყვანად;

გ) სამთო მომპოვებელ და სამრეწველო დანიშნულების საბაგირო გზებზე და ფუნქციულიორებზე;

დ) ბაგირ-მართვად ბორანებზე.

- ე) ბაგირის საშუალებით გადაადგილებად ტრამვაებზე;
- ვ) კბილანური სარკინიგზო გზებზე;
- ზ) ჯაჭვით-ამძრავიან მოწყობილობებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. საბაგრო მოწყობილობის სატრანსპორტო საშუალება - კიდული ბაგირგზის ვაგონი, კაბინა, სავარძელი და სათრეველა საწეველას სათრეველი აღჭურვილობა, ასევე ფუნქციური ვაგონი, რომლებიც განკუთვნილია მგზავრთა ტრასპორტირებისათვის.
2. საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაცია – საბაგრო მოწყობილობის სასიცოცხლო ციკლის ნაწილი, რომლის განმავლობაში ხდება მისი გამოყენება და მომსახურება დამამზადებლის მიერ გათვალისწინებული დანიშნულებით.
3. საბაგრო მოწყობილობის მომსახურება – ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული დათვალისწინების, შეკობვის, გაწმენდის, რეგულირების და შეკეთების სამუშაოების ჩატარება. აგრეთვე კონტროლი მის მუშაობაზე და დანიშნულების მიხედვით გამოყენებაზე.
4. საბაგრო მოწყობილობის რეკონსტრუქცია – საბაგრო მოწყობილობის არსებითი ცვლილება, რომელიც იწვევს ტექნიკური მახასიათებლებისა და პარამეტრების შეცვლას და არ არის გათვალისწინებული დამამზადებლის მიერ.
5. საბაგრო მოწყობილობის მოდერნიზაცია – კვანძების, დეტალების განახლება, რომლის შედეგად ხდება საბაგრო მოწყობილობის ტექნიკური დონის ხარისხობრივად გაუმჯობესება, რომლის დროსაც უცვლელი რჩება ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები და პარამეტრები: ტვირთამწეობა, სიჩქარე, კინემატიკური სქემები და სხვა.
6. საბაგრო მოწყობილობის დამამზადებელი – პირი/პირები, რომელიც ახორციელებს საბაგრო მოწყობილობის დაპროექტებას, წარმოებას, დამონტაჟებას და ბაზარზე განთავსებას, ახორციელებს ნიშანდებას და ადგენს შესაბამისობის დეკლარაციას.
7. უსაფრთხოების კომპონენტი – ნებისმიერი ძირითადი კომპონენტი ან კომპონენტების ერთობლიობა, ნახევრად აწყობილი ან აწყობილი ნებისმიერი მექანიზმი, რომელიც მიერთებულია მოწყობილობასთან და განკუთვნილია უსაფრთხოების ფუნქციების უზრუნველსაყოფად და რომლის გაუმართაობის შემთხვევაშიც საფრთხე ექმნება ადამიანების უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და საკუთრებას.
8. მოწყობილობა – სტაციონარული სისტემის ერთობლიობა, რომელიც შედგება ინფრასტრუქტურისა და ქვესისტემებისაგან, სადაც ინფრასტრუქტურა სპეციალურადაა დაპროექტებული თითოეული მოწყობილობისათვის და აგებულია სტაციონარულად, რომლებშიც მოიაზრება: პროექტი, მონაცემთა სისტემა, სადგურის ნაგებობები და ნაგებობები ხაზის გასწვრივ, რომლებიც აუცილებელია მოწყობილობის მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, მათ შორის, ფუძე-სადირკვლები.
9. ნიშანდება – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნიშანდება, რომელიც დაიტანება პროდუქტზე და ასახავს ამ პროდუქტის შესაბამისობას შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტთან.
10. ექსპლუატაციის ფაქტიური პირობები – საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაციის დროს მასზე მოქმედი ფაქტორების ერთობლიობა (კლიმატური ფაქტორები, გარემოს

აგრესიულობა ან ფეთქებადსაშიშროება, მუშაობის რეჟიმი, ქარის დატვირთვები, რაიონის სეისმურობა).

თავი II. ექსპლუატაცია და რეგისტრაცია

მუხლი 3. მოთხოვნები საბაგრო მოწყობილობების ექსპლუატაციისადმი

1. საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს საბაგრო მოწყობილობის დამამზადებლის მიერ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

2. საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაცია დაუშვებელია, თუ სათანადო (დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად) დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის მიუხედავად საფრთხე ექმნება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

3. საბაგრო მოწყობილობის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის, მფლობელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მის განკარგულებაში მყოფ საბაგრო მოწყობილობასთან დაკავშირებული ყველა საფრთხის შეფასება (რისკის ანალიზი) და აღნიშნული შეფასების საფუძველზე მიიღოს ზომები მომხმარებლების, დასაქმებულებისა და მესამე პირების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ბ) უზრუნველყოს საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაცია სათანადო კვალიფიკაციის მქონე პასუხისმგებელი და მომსახურე პერსონალით;

გ) დანიშნოს საბაგრო მოწყობილობის გამართულ მდგომარეობასა და უსაფრთხო ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების პირი - გზის უფროსი, რომელსაც აქვს უმაღლესი ტექნიკური განათლება ან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება და გააჩნია ბაგირგზაზე პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;

დ) უზრუნველყოს საბაგრო მოწყობილობის პასუხისმგებელი და მომსახურე პერსონალის თანამდებობრივი და სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ინსტრუქციების შემუშავება, პერსონალისთვის გაცნობა, ინსტრუქციების სრულყოფილობის ანალიზი და მათი შესრულებაზე კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში გადასინჯვა და შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარება;

ე) უზრუნველყოს პასუხისმგებელი და მომსახურე პერსონალის მიერ რეგლამენტისა და ინსტრუქციების მოთხოვნათა ცოდნის პერიოდული შემოწმება;

ვ) ავარიულ შემთხვევებში (საბაგრო მოწყობილობის ტექნიკური გაუმართაობა, ელექტრო ენერჯის გამორთვა და სხვა.) საბაგრო მოწყობილობის სატრანსპორტო საშუალებებში მყოფი მგზავრების დროული განთავისუფლებისათვის საჭირო სამაშველო ღონისძიებების ორგანიზება;

ზ) მომხმარებლებისთვის საბაგრო მოწყობილობის უსაფრთხოდ გამოყენების ინსტრუქციის ხელმისაწვდომობა და მათ შესრულებაზე კონტროლი.

4. დაუშვებელია საბაგრო მოწყობილობის შენობა ნაგებობების მზიდუნარიანობის დაუსაბუთებელი შემცირება.

5. საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაციის პროცესში უწყესი ვრობათა გამოვლენისას, აგრეთვე არსებული რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის დროს გზის უფროსმა უნდა მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გააჩეროს გზა. კერძოდ გზის ექსპლუატაცია არ დაიშვება, როდესაც:

- ა) გასულია მორიგი ტექნიკური შემოწმების ვადა;
- ბ) არ ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მომსახურე პერსონალი;
- გ) მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობა არ არის საიმედო და უსაფრთხო.

6. საბაგრო მოწყობილობას თან უნდა ახლდეს დამამზადებლის მიერ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია. საბაგრო მოწყობილობის ტექნიკური დოკუმენტაციის არ არსებობის შემთხვევაში, იგი უნდა აღდგეს დამამზადებლის მეშვეობით. თუ ეს შეუძლებელია ტექნიკური დოკუმენტაცია აღდგენილ უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სტანდარტის (შემდგომში-სტანდარტი) მოთხოვნათა შესაბამისად.

7. ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს: თითოეული ქვესისტემის და მასში გამოყენებული უსაფრთხოების კომპონენტების შესაბამისობის დეკლარაციებსა და სერტიფიკატებს; აგების გეგმებს და გამოთვლებს; ელექტრონულ და ჰიდრავლიკურ სქემებს; მართვისა და კონტროლის წრედების სქემებს; კომპიუტერული და ავტომატური სისტემების აღწერილობას; ექსპლუატაციისა და მომსახურების ინსტრუქციებს; ქვესისტემებში გამოყენებული, უსაფრთხოების ანალიზის შედეგად გათვალისწინებულ უსაფრთხოების კომპონენტების ჩამონათვალს; გზის გეგმასა და პროფილებს; გზაზე სასწავლო სამაშველო ოპერაციის (სატრანსპორტო საშუალებებიდან მგზავრთა ევაკუაციის) ჩატარების ინსტრუქციებს. მომსახურებისა და ექსპლუატაციის ინსტრუქციები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

8. საბაგრო მოწყობილობის უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია, რომლის წარმოება და განთავსება უნდა განხორციელდეს უშუალოდ ობიექტზე, დადგენილია სტანდარტით. საბაგრო მოწყობილობის მფლობელი ვალდებულია რისკის ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტაციის შინაარსის, მოცულობის და რაოდენობის საკმარისობა.

9. საბაგრო მოწყობილობის სადგურებში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას: მგზავრთა გადაყვანის წესები; ვაგონით გადასაყვან მგზავრთა რიცხვი; გადასაყვან მგზავრთა მიმართ დაწესებული შეზღუდვები. წრიულ საბაგრო გზებზე, სადგურებთან ახლომდებარე საყრდენებზე საჭიროა გამოიკრას სავარძლებში მგზავრთა ქცევის საილუსტრაციო პლაკატები, აგრეთვე გამაფრთხილებელი წარწერები სავარძლებიდან მგზავრთა გადმოსვლის მომზადების შესახებ.

10. საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაციისას არსებული ფაქტიური პირობები (კლიმატური ფაქტორები, გარემოს აგრესიულობა, მუშაობის რეჟიმი, ქარის დატვირთვები, რაიონის სეისმურობა) არ უნდა იყოს უარესი იმ პირობებთან შედარებით, რომლებიც დადგენილია საბაგრო მოწყობილობის და მისი უსაფრთხოების კომპონენტებისათვის დამამზადებლის მიერ.

11. ექსპლუატაციის ფაქტიური პირობებთან საბაგრო მოწყობილობის შესაბამისობაზე პასუხისმგებელია საბაგრო მოწყობილობის მფლობელი.

12. საბაგრო მოწყობილობის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

13. თუ საბაგრო მოწყობილობა დაპროექტებულია იმგვარად, რომ სატრანსპორტო საშუალებაში ჩარჩენილ მგზავრებს შეუძლიათ ჩამოსვლა/გადმოსვლა სხვა პირების დახმარების გარეშე, კაბინაში განთავსებული უნდა იყოს აღნიშნული ქმედებების შესრულების მკაფიო და თვალსაჩინო ინსტრუქციები.

14. მუშაობის დაწყების წინ საბაგრო მოწყობილობა უნდა გაისინჯოს უკმ სვლაზე, შემდეგ კი მოხდეს მისი დათვალიერება ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად. მგზავრთა გადაყვანის დაწყება დასაშვებია, თუ არ გამოვლინდა უწყესივრობანი და დარღვევები. დათვალიერების შედეგები უნდა დაფიქსირდეს.

15. საგანგებო მდგომარეობის დროს (ქრიშხალი, ჭექა-ქუხილი, ზვავი და ა.შ) საბაგრო მოწყობილობის მუშაობის განახლებისას სავალდებულოა საკონტროლო გაშვება შესრულდეს ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად.

16. საბაგრო მოწყობილობა უნდა დაექვემდებაროს ტექნიკურ დიაგნოსტიკებს სამუშაო რესურსის ამოწურვის შემთხვევაში, ხოლო შემდგომი დიაგნოსტიკებს, შემოწმების დასკვნის შედეგებიდან გამომდინარე.

მუხლი 4. საბაგრო მოწყობილობის რეგისტრაცია

საბაგრო მოწყობილობი ექსპლუატაციაში გაშვებამდე, უნდა დარეგისტრირდნენ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის №317 დადგენილებით დამტკიცებული „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივი რეესტრის წარმოების წესი“-ს შესაბამისად.

თავი III. ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები ექსპლუატაციაში მყოფი საბაგრო მოწყობილობისადმი.

მუხლი 5. საერთო მოთხოვნები

1. საბაგრო მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობა უნდა უზრუნველყოფდეს მის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

2. ექსპლუატაციაში მყოფი საბაგრო მოწყობილობების ქვესისტემების და მათი უსაფრთხოების კომპონენტების ტექნიკური მდგომარეობა, უნდა უზრუნველყოფდეს რეგლამენტთან და იმ ტექნიკურ ნორმებთან შესაბამისობას, რომელთა მიხედვითაც ისინი არიან დაპროექტებული და დამზადებული.

3. დაუშვებელია საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაცია როდესაც:

- ა) გაუმართავია მუხრუჭები;
- ბ) ბაგირების დეფექტები აღემატება დასაშვებ ზღვარს;
- გ) გაუმართავ მდგომარეობაშია უსაფრთხოების ხელსაწყოები (საბოლოო ამომრთველები, მონიტორინგისა და კონტროლის ხელსაწყოები), მაშველი მოწყობილობა, დამცავი ნაგებობები.
- დ) აღინიშნება დაუშვებელი სიდიდის ბზარები და/ან კოროზია მოწყობილობის და ლითონკონსტრუქციების საპასუხისმგებლო ადგილებში;
- ე) არ არის ჩატარებული ტექნიკური შემოწმება.
- ვ) ქარის სიჩქარე აღემატება დასაშვებ ნორმას.

4. საბაგრო მოწყობილობის ელ. მოწყობილობა-დანადგარების ექსპლუატაცია უნდა წარმოებდეს ელექტრომოწყობილობების მიმართ დადგენილი უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისად.

5. საბაგრო მოწყობილობებზე არ ვრცელდება ამ თავით განსაზღვრული ის მოთხოვნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული იმ ტექნიკური ნორმებით,

რომელთა შესაბამისად მოწყობილობები არიან დაპროექტებული და დამზადებული. აღნიშნული გამონაკლისი არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს №320 დადგენილებით დამტკიცებული „ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგრო მოწყობილობების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად დამონტაჟებულ საბაგრო მოწყობილობებზე.

6. ამ თავში მითითებული მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა განხორციელდეს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 6. გარემო პირობების გათვალისწინება

საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იყოს მისი უსაფრთხოდ ფუნქციონირება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოწყობილობის ტიპი, იმ ადგილმდებარეობის ბუნებრივი პირობები და ფიზიკური თვისებები სადაც ის არის განლაგებული, გარემო, ატმოსფერული და მეტეოროლოგიური ფაქტორები და შესაძლო დაბრკოლება, რომელიც განთავსებულია მოწყობილობის უშუალო სიახლოვეს – მიწაზე ან ჰაერში.

მუხლი 7. მოწყობილობის მახასიათებლები

1. საბაგრო მოწყობილობა, მისი ქვესისტემები და უსაფრთხოების კომპონენტი უნდა უზრუნველყოფდეს, ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილ ყველა პროგნოზირებად ზემოქმედების მიმართ გამძლეობას, მათ შორის, მოწყობილობის ფუნქციონირების შეჩერების დროს. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გარე ზემოქმედების ფაქტორები, დინამიკური დატვირთვები და მასალის დაღლილობის გამოვლინებები.

2. საბაგრო მოწყობილობა, ქვესისტემა და ყველა უსაფრთხოების კომპონენტი ექსპლუატაციის ეტაპზე უნდა ინარჩუნებდეს მომსახურების, შეცვლის და შემოწმებისათვის საჭირო სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულების შესაძლებლობას.

3. უსაფრთხოების კომპონენტი ექსპლუატაციის პროცესში უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მისი მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა იყოს მინიმალური და ჰქონდეს უსაფრთხოების საკმარისი მარაგი, არ უნდა დაირღვეს უსაფრთხოების კომპონენტის მთლიანობა იმ მოწყობილობასთან, რომელზეც ის არის დამონტაჟებული.

4. საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების კომპონენტის ნებისმიერი გაუმართაობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დროული მიღება.

5. დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების კომპონენტების გეგმური შემოწმების პერიოდულობა, რომელიც მითითებული უნდა იყოს ექსპლუატაციის ინსტრუქციაში.

6. ექსპლუატაციის პროცესში დაუშვებელია იმ მოწყობილობის გაუმართავ მდგომარეობაში ყოფნა, რომლის დანიშნულებაა ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მგზავრების უსაფრთხოება.

7. საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაციისას მიღებული უნდა იქნას ზომები მოწყობილობისა და ადამიანების მეხისგან დასაცავად.

8. დამცავი დამიწება და დანულება უნდა გამორიცხავდეს ელექტროდანადგარების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ადამიანების ძაბვის ქვეშ მოხვედრის შესაძლებლობას.

9. დამჭიმი მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ბაგირების დაჭიმულობას დასაშვებ ზღვრებში და საბაგრო მოწყობილობის უსაფრთხო ექსპლუატაციას, სვლა უნდა შეზღუდული იყოს საბჯენებით და კონტროლდებოდეს საბოლოო გამომრთველებით.

მუხლი 8. უსაფრთხოების სისტემა

1. საბაგრო მოწყობილობის უსაფრთხოების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ნებისმიერი გაუმართაობის (რომელიც შეიძლება გადაიზარდოს დაზიანებაში და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უსაფრთხოების პირობების დარღვევა) გამოვლენას, დამუშავებას და თუ საჭიროა გაჩერებას. იგივე შეეხება ნებისმიერ სხვა გარე პროგნოზირებად მოვლენას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანების უსაფრთხოებას.

2. უსაფრთხოების სისტემის მიერ მოწყობილობის გაჩერების შემთხვევაში, შეუძლებელი უნდა იყოს მოწყობილობის ხელახალი ჩართვა, სანამ სათანადო უსაფრთხოების ზომები არ იქნება მიღებული.

3. საბაგრო მოწყობილობაზე უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი მექანიკური გამორთვის შესაძლებლობა.

4. საბაგრო მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს გეგმიურ ან არაგეგმიურ მომსახურებასა და შეკეთებასთან დაკავშირებულ პროცედურების უსაფრთხოდ განხორციელებას.

მუხლი 9. უარყოფითი ზემოქმედება მოწყობილობაზე

საბაგრო მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ნებისმიერი შიდა და გარე ფაქტორებით გამოწვეული დისკომფორტის, მავნე აირების, ხმაურის ან ვიბრაციის სახით, შემცირებას დადგენილ ზღვრებამდე.

მუხლი 10. განლაგება, სიჩქარე და მანძილი სატრანსპორტო საშუალებებს შორის

1. საბაგრო მოწყობილობა საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ადამიანებს, ექსპლუატაციის, სარემონტო სამუშაოების ან შესაბამის შემთხვევებში ადამიანთა გადასარჩენად გამიზნული სამაშველო ოპერაციების ჩატარებისას.

2. საბაგრო სატრანსპორტო საშუალებებს, საბუქსირე მოწყობილობებს, სავალ გზებსა და ბაგირებს შორის, ასევე მათთან უშუალო სიახლოვეს, მიწაზე ან ჰაერში არსებულ ნაგებობებსა და დაბრკოლებებს შორის შენარჩუნებული და დაცული უნდა იქნეს საკმარისი ჰორიზონტალური და ვერტიკალური უსაფრთხო მანძილები. გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაგირების და სატრანსპორტო საშუალებების ან საბუქსირე მოწყობილობების ვერტიკალური, გასწვრივი და ჰორიზონტალური გადაადგილება, მუშაობის ყველაზე არახელსაყრელ პროგნოზირებად პირობებში.

3. მაქსიმალური მანძილი სატრანსპორტო საშუალებებსა და მიწას შორის უნდა ითვალისწინებდეს მოწყობილობების მახასიათებლებს, სატრანსპორტო საშუალებების და სამაშველო პროცედურების სახეობას. ღია კაბინის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას ვარდნის რისკი, ასევე ფსიქოლოგიური ასპექტი ასოცირებული სატრანსპორტო საშუალებებსა და მიწას შორის მანძილთან.

4. საბაგრო სატრანსპორტო საშუალებების ან სათრეველა საშუალებების მაქსიმალური სიჩქარე, აჩქარება, დამუხრუჭება და მათ შორის მინიმალური მანძილი, უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანების უსაფრთხოებას და მოწყობილობის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

მუხლი 11. სადგურები და ნაგებობები საბაგრო გზის გასწვრივ

1. სადგურები და ნაგებობები საბაგრო მოწყობილობის გასწვრივ უნდა იყოს მდგრადი და ჰქონდეს უსაფრთხო მისასვლელი და მისადგომები. სადგურები და ნაგებობები პროგნოზირებად საექსპლუატაციო პირობებში უნდა უზრუნველყოფდეს ბაგირების, საბაგრო სატრანსპორტო საშუალებების და სათრეველა საშუალებების უსაფრთხო მართვას და სარემონტო მომსახურების უსაფრთხო განხორციელებას.

2. საბაგრო მოწყობილობის შესასვლელი და გამოსასვლელი ადგილები უნდა უზრუნველყოფდეს საბაგრო სატრანსპორტო საშუალებების, საბუქსირე მოწყობილობებისა და ადამიანების უსაფრთხო გადაადგილებას. სადგურებში სატრანსპორტო საშუალებებსა და სათრეველა საშუალებებზე ადამიანებს უნდა შეეძლოთ განთავსდნენ რისკის გარეშე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი შესაძლო აქტიური მონაწილეობა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის თანხვედრისთვის.

3. საბაგრო გზის სადგურები და მათში განთავსებული ელექტრო და მექანიკური მოწყობილობები დაცული უნდა იქნას კლიმატური პირობების ზემოქმედებისაგან.

მუხლი 12. ბაგირები და მათი სამაგრი საშუალებები

1. ექსპლუატაციის პროცესში ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული იმისათვის რომ:

ა) თავიდან იქნეს აცილებული ბაგირების და მათი სამაგრი საშუალებების მწყობრიდან გამოსვლა;

ბ) დაცულ იქნას ბაგირებისა და სამაგრი საშუალებების მინიმალური და მაქსიმალური დატვირთვების/დაძაბულობის ზღვრები;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს ბაგირების საიმედო დამაგრება/დაკავშირება სამაგრი საშუალებებზე ბაგირების გადმოვარდნის თავიდან ასაცილებლად;

დ) ბაგირები და საყრდენი საშუალებები უნდა უზრუნველყოფდეს მათი დათვალიერების/შემოწმების საშუალებას;

ე) უზრუნველყოფილი იქნას ბაგირის ექსპლუატაცია სიმტკიცის მარაგის გათვალისწინებით;

ზ) უზრუნველყოფილი იქნას ბაგირის საიმედო დამაგრება და შეერთება.

2. ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა შესაძლებელი იქნეს ბაგირის მიმმართველში დაბრუნება. ბაგირის მიმმართველებიდან ამოვარდნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საბაგრო მოწყობილობის გამორთვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

მუხლი 13. ამძრავი მოწყობილობა

1. საბაგრო მოწყობილობის ამძრავი სისტემა უნდა იყოს თავსებადი და საკმარისად მძლავრი, რათა უზრუნველყოს მართვის სისტემის სხვადასხვა გათვალისწინებულ რეჟიმში მუშაობა.

2. დაუშვებელია იმ საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაცია გამართული სარეზერვო ამძრავი მოწყობილობის გარეშე, როდესაც საბაგრო მოწყობილობის გაჩერების შემთხვევაში მგზავრებს არ შეუძლიათ საბაგრო სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის, საბუქსირე მოწყობილობების, ადვილად, სწრაფად და უსაფრთხოდ დატოვება.

3. სარეზერვო ამძრავის არსებობა არ არის აუცილებელი, თუ მის გარეშეც მგზავრებს შეუძლიათ საბაგრო სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის, საბუქსირე მოწყობილობების, ადვილად, სწრაფად და უსაფრთხოდ დატოვება.

4. სარეზერვო ამძრავ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს ძირითადი ამძრავი სისტემისგან დამოუკიდებელი ელექტრომომარაგების წყარო.

მუხლი 14. მუხრუჭი

1. საგანგებო სიტუაციებში, მათ შორის, ექსპლუატაციის ყველაზე არახელსაყრელ პირობებში, საექსპლუატაციო დატვირთვის და ბაგირის შკივთან არასათანადო მოჭიდებისას, შესაძლებელი უნდა იყოს საბაგრო მოწყობილობის და/ან საბაგრო სატრანსპორტო საშუალებების ნებისმიერ დროს გაჩერება. სამუხრუჭე მანძილი უნდა იყოს ისეთი, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოწყობილობის უსაფრთხოება.

2. დამუხრუჭების დროს შენელების სიდიდე უნდა იყოს იმ ზღვრებში, რომ უზრუნველყოფილი იქნას ადამიანთა უსაფრთხოება, ბაგირების, სატრანსპორტო საშუალებისა და მოწყობილობის სხვა ნაწილების გამართული მუშაობა.

3. ყველა საბაგრო მოწყობილობას უნდა გააჩნდეს ორი ან მეტი სამუხრუჭე სისტემა, თითოეულს უნდა შეეძლოს მოწყობილობის გაჩერება და ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ძირითადი მოქმედი სამუხრუჭე სისტემის მწყობრიდან გამოსვლისას შესაძლებელი იყოს დამატებითი მუხრუჭით ჩანაცვლება. საწევი ბაგირის სამუხრუჭე სისტემათაგან ერთ-ერთი დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ ამძრავ შკივზე. აღნიშნული არ ვრცელდება სათრეველა საწეველებზე.

4. საბაგრო მოწყობილობა აღჭურვილი უნდა იყოს ეფექტური სამაგრი და ჩამკეტი მექანიზმით, რათა გამორიცხული იყოს მოწყობილობის გაუთვალისწინებელი განმეორებითი ჩართვა.

მუხლი 15. მართვის მოწყობილობები

მართვის მოწყობილობები უნდა იყოს უსაფრთხო და უძლებდეს ნორმალურ სამუშაო დატვირთვას და ისეთ გარე ფაქტორებს, როგორებიცაა სინესტე, ექსტრემალური ტემპერატურა ან ელექტრომაგნიტური ხარვეზები და არ ქმნიდეს საფრთხეს, მათ შორის, ოპერაციული შეცდომის შემთხვევაშიც.

მუხლი 16. საკომუნიკაციო მოწყობილობები

საბაგრო მოწყობილობაზე უნდა იყოს და გამართულად მუშაობდეს კომუნიკაციის სათანადო მოწყობილობები, რათა მომუშავე პერსონალს ნებისმიერ დროს შეეძლოს ერთმანეთთან დაკავშირება და საგანგებო სიტუაციებში მომხმარებლების შესაბამისი ინფორმირება.

მუხლი 17. სატრანსპორტო და სათრეველა საშუალებები

1. სატრანსპორტო და/ან სათრეველა საშუალებები პროგნოზირებად სამუშაო პირობებში უნდა გამორიცხავდეს ადამიანის გადმოვარდნას ან მის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ რისკს.

2. სატრანსპორტო და სათრეველა საშუალებების აღჭურვილობა არ უნდა აზიანებდეს ბაგირს, გამორიცხულ უნდა იყოს აღნიშნული აღჭურვილობის გასრიალება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიც კი გასრიალება არსებით საფრთხეს არ უქმნის სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოებას, სათრეველა საშუალებას ან საბაგირო მოწყობილობას.

3. დაუშვებელია სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია, როდესაც არ იხურება და/ან არ იკეტება კარები (ვაგონებზე, კაბინებზე). სატრანსპორტო საშუალების იატაკი უნდა უძლებდეს მომხმარებლებისგან წარმოქმნილ ზეწოლას და დატვირთვას ნებისმიერი გარემოების დროს.

4. თუ საბაგირო მოწყობილობის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის ოპერატორს მოეთხოვება, რომ იმყოფებოდეს საბაგირო მოწყობილობის სატრანსპორტო საშუალებაში, დაუშვებელია ისეთი სატრანსპორტო საშუალების მუშაობა, რომელსაც გაუმართავი აქვს აღჭურვილობა, რომელიც საშუალებას აძლევს ოპერატორს შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

5. სატრანსპორტო საშუალებები და/ან საბუქსირე მოწყობილობები, კერძოდ კი, მათი შეჩერების მექანიზმები უნდა უზრუნველყოფდეს მომსახურე პერსონალის უსაფრთხოებას მათზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს.

6. თუ სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილია ჩახსნადი მოწყობილობით, მათი გამგზავრების ან ჩამოსვლის დროს, თუ ჩასახსნელი სამაგრი არასწორედ მიუერთდა ან ჩაეხსნა ბაგირს, ასეთ შემთხვევაში უნდა გამორიცხოს სატრანსპორტო საშუალების ჩამოვარდნა და რისკის ქვეშ გაჩერება.

7. ფუნქციონირის და ორბაგირიანი (საწევი და მზიდვი) საბაგირო გზის სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი უნდა იყოს ავტომატური სამუხრუჭე მოწყობილობით. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორბაგირიანი საბაგირო გზის კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე ავტომატურ სამუხრუჭე სისტემას არ საჭიროებს.

8. თუ არ არის გამორიცხული სატრანსპორტო საშუალების გზიდან გადასვლის რისკი, სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს ავარიის საწინააღმდეგო მოწყობილობით, რომელიც შეაჩერებს სატრანსპორტო მოწყობილობას ადამიანებისთვის რისკის გარეშე.

მუხლი 18. მოწყობილობა მომხმარებლებისათვის

1. მგზავრთა ჩასახსნა-გადმოსახსნომის ადგილები მოწყობილი უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფდეს მგზავრების უსაფრთხოებას, მათ შორის იმ ადგილებში, სადაც არსებობს ჩავარდნის საფრთხე.

2. ბავშვებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ საბაგირო მოწყობილობის უსაფრთხოდ გამოყენების შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში, როდესაც მოწყობილობა ითვალისწინებს მათ გადაყვანას.

3. მოწყობილობასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ყველა მიღებული უსაფრთხოების ზომა უნდა უზრუნველყოფდეს მოწყობილობის დანიშნულებისამებრ გამოყენებას ტექნიკური სპეციფიკაციისა და საექსპლუატაციო მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 19. უსაფრთხოება მოწყობილობის გამორთვის შემთხვევაში

მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი ზომები, რათა მოწყობილობის ტიპისა და მისი გარემო პირობების გათვალისწინებით, შესაბამის დროში უზრუნველყოფილ იქნას მგზავრთა უსაფრთხოება, როდესაც მოწყობილობა გამორთულია და ვერ ხერხდება მისი სწრაფი ხელახალი ჩართვა.

მუხლი 20. ოპერატორების მართვის ინსტრუმენტები და სამუშაო ადგილი

მოდრავი ნაწილები, რომლებიც მართვის სადგურებში ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია, აღჭურვილი უნდა იყოს დამცავი საშუალებებით, რათა გამოირიცხოს მათ მოძრავ ნაწილებთან ნებისმიერი შეხება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს უბედური შემთხვევა. შეუძლებელი უნდა იყოს ასეთი საშუალებების ადვილად მოხსნა და მწყობრიდან გამოყვანა.

მუხლი 21. ვარდნის რისკი

სამუშაო სივრცე და მათთან მისასვლელი, მათ შორის ისეთიც, რომელიც იშვიათად გამოიყენება უნდა მოეწყოს ისე, რომ გამორიცხული იყოს მომუშავეთა ვარდნის საფრთხე. იმ შემთხვევაში თუ კონსტრუქცია არ არის ადექვატური, მაშინ გათვალისწინებული უნდა იყოს ჩამოვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალების სამაგრი წერტილები.

მუხლი 22. ინფორმაციის დატანა

საბაგრო მოწყობილობაზე დატანილი ინფორმაცია უნდა იყოს მკაფიო და არ უნდა იმღებოდეს ადვილად. მითითებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) მწარმოებლის/დამამზადებლის დასახელებასა და მისამართს;
- ბ) მინიჭებულ სერიასა და ტიპს;
- გ) სერიულ ნომერს;
- დ) დამზადების წელს.

თავი III. ტექნიკური შემოწმება, რემონტი, რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია

მუხლი 23. ტექნიკური შემოწმება

1. ექსპლუატაციაში მყოფი საბაგრო მოწყობილობის საიმედობის დადგენის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი ტექნიკური შემოწმება ექსპლუატაციის ინსტრუქციისა და/ან სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. საბაგრო მოწყობილობის საიმედოობის დადგენისთვის ორგანიზებული უნდა იყოს სტატისტიკური და დინამიკური გამოცდების ჩატარება, დამამზადებლის ტექნიკურ დოკუმენტაციის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ საბაგრო მოწყობილობის ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს აღნიშნულ მეთოდოლოგიას, მაშინ გამოცდები უნდა ჩატარდეს სტანდარტის მიხედვით.

მუხლი 24. საბაგრო მოწყობილობის რემონტი

1. საბაგრო მოწყობილობის რემონტისთვის დაუშვებელია ისეთი ტექნიკური მახასიათებლების მქონე მასალების, ასევე მექანიკური, ელექტრული და მაკომპლექტებელი მოწყობილობების გამოყენება, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საბაგრო მოწყობილობის ტექნიკური დოკუმენტაციით და საფრთხეს შეუქმნის საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაციას.

2. საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაციის გამწვანება უნდა უზრუნველყოს საბაგრო მოწყობილობის ჩატარებული სარემონტო სამუშაოების აღრიცხვა.

3. საბაგრო მოწყობილობის რემონტისთვის გამოყენებული უსაფრთხოების კომპონენტებისა და სხვა მაკომპლექტებელი ნაკეთობების, საბაგრო მოწყობილობის და მის ექსპლუატაციის ფაქტიურ პირობებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია საბაგრო მოწყობილობის სარემონტო სამუშაოების განმახორციელებელი პირი.

4. ლითონკონსტრუქციების შედუღება უნდა წარმოებდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. შედუღებით შეერთების სახეები, კონტროლისა და შეფასების ნორმები, უნდა განისაზღვროს სარემონტო სამუშაოებისთვის შემუშავებული ტექნიკური პირობებით სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

5. მზიდი, მზიდ-საწევი, და დამჭიმი ბაგირების დამონტაჟების წინ საჭიროა მათი გამოცდა ბაგირსაცდელ სადგურში.

6. მზიდი და დამჭიმი ბაგირების შეცვლის ან დამოკლების დროს აუცილებელია ახალი ქუროების დაყენება.

7. მზიდი ბაგირის გადაბმა დაუშვებელია იმ მონაკვეთზე, სადაც ვაგონი მოძრაობს.

მუხლი 25. საბაგრო მოწყობილობის რეკონსტრუქცია

1. საბაგრო მოწყობილობის რეკონსტრუქცია უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს №320 დადგენილებით დამტკიცებული „ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგრო მოწყობილობების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. საბაგრო მოწყობილობის რეკონსტრუქცია უნდა განხორციელდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტებული ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე.

3. საბაგრო მოწყობილობის რეკონსტრუქციისთვის გამოყენებული უსაფრთხოების კომპონენტებისა და სხვა მაკომპლექტებელი ნაკეთობების საბაგრო მოწყობილობის და საბაგრო მოწყობილობის ექსპლუატაციის ფაქტიურ პირობებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია:

- საბაგრო მოწყობილობის პროექტირების ეტაპზე დამპროექტებელი;
- რეკონსტრუქციის ეტაპზე, რეკონსტრუქციის განმახორციელებელი.

მუხლი 26. საბაგრო მოწყობილობის მოდერნიზაცია

1. საბაგრო მოწყობილობის მოდერნიზაცია უნდა განხორციელდეს დამამზადებელი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე და დამზადებისთვის გათვალისწინებული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

2. მოდერნიზებული საბაგრო მოწყობილობა ითვლება ტექნიკურად გამართულად, თუ მისი ტექნიკური მდგომარეობის შებამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან დადასტურებულია შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ.

თავი IV. არაარსებითი, არსებითი და კრიტიკული შეუსაბამოებები

მუხლი 27. არსებითი შეუსაბამოებების განსაზღვრა

1. რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველ, მე-6 და მე-13 პუნქტებში, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-7 მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-8 პუნქტებში, მე-8 მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-14 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში, მე-15 მუხლში, მე-16 მუხლში, მე-17 მუხლის პირველ, მე-2, მე-6 და მე-8 პუნქტებში, მე-18 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში, მე-19 მუხლში, მე-20 მუხლში, 21-ე მუხლში, 24-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება I ხარისხის არსებით შეუსაბამობას.

2. რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში, მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში, მე-10, მე-11, მე-14, მე-15 და მე-16 პუნქტებში, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში და მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში, მე-7 მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტებში, მე-10 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-11 მუხლის პირველ პუნქტში, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-17 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში, 23-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში, 24-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება II ხარისხის არსებით შეუსაბამობას.

მუხლი 28. კრიტიკული შეუსაბამოებების განსაზღვრა

1. რეგლამენტის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-17 მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება I ხარისხის კრიტიკულ შეუსაბამობას.

2. რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებში, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტებში, 24-ე მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება II ხარისხის კრიტიკულ შეუსაბამობას.

მუხლი 29. არაარსებითი შეუსაბამოებების განსაზღვრა

რეგლამენტის 27-ე და 28-ე მუხლებში მოცემული შესაბამისი მუხლების გარდა, ყველა სხვა მუხლებში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება არაარსებით შეუსაბამობას.

